

საქართველოს

საბჭოთა

9-5-17

ფასი 20კ.


ს. ს. ს. ნ. 35
 მხარეთმცოდნეობის
 კომისიისათვის
 სსრკ-ის
 ბიზნის კატალოგის
 26 " II 1932 წ.
 № 88
 1. 1932



ნახ. ნადარეიშვილის

ლაპარსხებულნი

ემიგრანტი: — მიშველე, წამოაყენე და მერე მე გიშველი!
 ინტერვინტი: — ჯერ შენ მიშველე და წამოაყენე, რომ შემდეგ მე გიშველ
 და წამოაყენებ!



კაფე-რესტორანი „საქართველო“, რომელიც არაბულ ფრანგულათაა წარწერილი—ქართულ ემიგრანტების „მსხვილ წარმოებათ“ ითვლება საფარავნის დედა-ქალაქში.

სენსაციების მოყვარული ხალხი, უბრალოდ პარიზელი ქალები, ხშირი სტუმრები არიან სსენებულ რესტორანის, რომლებიც „ჩაერთკაცებულ-ჩახანჯალბულ“ ქართველ ემიგრანტებს ცნობის მოყვარობით და ტყუილი გამოგონებებით თავალიერებენ. რესტორანი „საქართველო“ თანამედ შეიძლება ქართველ ემიგრანტების „კლუბათ“ ჩაითვალოს. აქ ჩამოყალიბებულია დრამატულ მუსიკალური-საცეკვაო წრე, რომელიც საფარავნოში შეიხსნულ „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“ უსრდის სპეციალისტებს დრამატ-მუსიკალურ საცეკვაო „წარმოებისათვის“; ჩამოყალიბებულია აგრეთვე წრე კომბინაციების, და სხვა. ქართველ ემიგრანტების „კლუბში“ ხშირად იმართება სხვა და სხვა ხასიათის საღამოები, რომლებსაც უკავშირებენ „ეროვნულ დღესასწაულებს“.

საქართველოში საბჭოთა წყობილებას დამყარების დღეს (25 თებერვალს) ემიგრანტები ათი წლის განმავლობაში გლოვით ხელობდნენ. ამ დღეს (და წინა დღითაც) რესტორანი „საქართველო“ იხტებოდა და მის არკას შავი არშიები უნდა ჭინვოდა შემოკრული.

ნიშნად მწუხარებისა ემიგრანტები ამ ორ დღეს არც სვამდნენ, არც სუამდნენ (თუმცა მათ სმა-ჭამა სხვა დღეებშიაც ნაკლებათ აქვთ) მხოლოდ თერთმეტი. წლის თავს ემიგრანტები შეხვედრიან არაჩვეულებრივად*) რესტორან „საქართველოში“ ასეთ ამბავს ჭინია ადგილი.

რამდენიმე დღით აღრე „ოფიციატების“ და „წერილგება“ ემიგრანტების მოთხოვნით „მოთვრობას“ ნება მიუცია რესტორანის ადმინისტრაციისათვის შემოსავლიან საღამოს გამართვისა, რესტორანის კარებზე ასეთი აფიშა იყო თურმე გაკრული.

ქ. პარიზი.

„კაფე-რესტორანი „საქართველო“. 24 თებერვალს გაიმართება დიდი საღამო „ბალ-მასკარადით“.

ერთ-ერთი ნიღაბი გააცეკვებს მოხსენებას საბჭოთა საქართველოს თერთმეტი წლის თავზე.

შენოსაყალი გადაცემა შიმშილისაგან დახორცილ ემიგრანტთა ოჯახებს“.

მომხსენებელმა ნიღაბმა დაიწყო:

ბატონებო და ქალბატონებო! ხვალ შესრულდება 11 წელი, რაც საქართველოში დემოკრატიულ რესპუბლიკის მაგიერ დროებით შემოღებული იქნა (ჩვენი ნებით) საბ-

*) რადიო-ცნობა ამ ამბავის შესახებ ნიანგის სააგენტოდან პარიზიდან ჩვენმა რედაქციამ მიიღო 24 თებერვალს დამის 12 საიანზე.

ჭოთა რესპუბლიკა, ჩვენ, მენშვეციებს ვცდიდოდა დაგვემტკიცებია ქვეყნისათვის, თუ რა ბიჭებია კომუნისტები, რომლებიც ტრაბახობენ რაღაც სოციალიზმის აშენებას. ჩვენ მათ მართლაც დაუშვტყიცეთ, რომ ისინი ტრაბახობენ მხოლოდ, თერთმეტი წელიწადია აშენებენ სოციალიზმს და გერ მხოლოდ საძირკველი ამოუშენებიათ და მეტი არაფერი, თუ არ გვერათ წააკითხეთ მათი გაზეთები, — დღეს ისინიც იძულებული არიან აღიარონ თავიანთი უსუსურობა.

საძირკველი ხახახა! ვადისარხარა მან და განაგრძო—საძირკველს ბაბუაჩემი ორ-სამ

დღეს ამომხენებდა ხოლმე, კომუნისტებმა კი თერთმეტი წელი მოხადომეს... მოხსენებელმა კიდევ ბევრი ილაპარაკა და „დამტკიცა“, რომ სოციალიზმის საძირკველის ამოშენებისათვის საქართველოში თერთმეტი წელიწადი კი არა თერთმეტი თვე არ იყო საჭირო. მომხსენებელს ოვაცია გაუმართეს. მომხსენებლის ნიღაბ ქვეშ მოსჩანდა ემიგრანტთა „მოთვრობის პრეზიდენტის“ ნამდვილი სახე.

ემიგრანტები მოხსენებით კმაყოფილი დაჩვენ.

სუმბარა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ზუსტავალი

იმ დროს, როცა ჩვენში მეოხსნებს ჩაუვარდათ ენა პირში, ცხოვრების წრეს ვაეთიშენ, განზე ვადგენ, განაპირში, — მე ხელობით არ-შეოსანი, კალამს ვიღებ ურვე ხელში; შაბატიეთ, თუ რომ ლექსი ჩემი იქნეს მოუხეში.

ლექსთა წყობის სანიმუშოდ ვიღებ შოთას, ენა წყლიანს. ყველა შაბაძეს, რა იქნება მეც შავბაძო იმ მადლიანს? ვფიქრობ, ჩემი მეტ-ჩრობით არმავსცემ მის სახელს ზიანს, ჩემი მბუჭტავი ვარსკვლავი ვერ დაჩრდილავს მის ცას მზიანს.

საგნათ ჩემი პოემისა მე არ ვავხდი თინათინსა. ამ საშინელ სიძვირის დროს საჭმელია და სამოსლისა, — თუ რამე სიმდიდრე იყო ომის დროს სოო მოისრისა, — ერთ მშვენიერ ტურფა ქალში არ ვაგაცივლით ალბა ჩიოსა!

უკანასკნელი სამი წლის მსურს დავსწერო ისტორია, — ისე არა, როგორც მას სყერს კლან დაძი ნესტორია, — აქ მოიხრობილი ამბავი სინამდვილესთან სწორია, — და შეგობარს ის მიუძღვნა, რომელაც ჩვენგან შორეა.

სალამს ვიდგენი და მოკითხვას, ჩემო ძველო მეგობარო, აბელ, სრულდათ რუსეთის აღმასკონის სეკრეტარო! დიდი ხნის უნახავი ვართ, ვიცი მკითხავ: — როგორ ხარო? ჩემი ამბავის მოთხრობით ვეჭვობ, რომ შენ ვაგახარო.

მეტების ციხეში ვზივარ, თვალში: მზე აღარ მიჩანა. თვითმპყრობელობამ ვერა და შენშევიკებმა მაჩვენა ის კამორა, რომელშიდაც ერთხელ შედარხარ, თურმე, შენა! ასეთი დემოკრატია ვშმაკებმაც შეაჩვენა!

მაგრამ სჯობს, რომ დაწვილებით ვაგიკეთო მოხსენება. ყური მიგდე, მოისმინე, იქონიე მოთმინება. მე სუყველაფერს მოგიხრობ, ისტორიამ რაც ინება. ხან მოგი ბრაზი გულზე, ხან კიდევ ვაგეცინება.

თავი პირველი

ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელსა, ნაკიან თებერვლის თვესა, ასეთი დებემა მოგვდის: — „მოთვრობაძე მოკვდა როესა“.

ნათესავეებს და მეგობრებს სასწრაფოთ აცნობეთ ესა... ჩვენ დიდათ ვავისარენით, ჩვენამატრებმა მორთეს კენესა. ეს სან-კარო ამბავი ჩვენ მეტის - მეტათ გვიანა.

ვინ იცის, რამდენმა გვირმა ამისთვის მეღგრა: იომა-ზამთრის ქარ - სუსხი ჩავვიდვა; დაპჭროლა თბილმა სიომა, მღლეო საამოთ ამწვანდა, თავი წამოყო იამა.

საქართველოში იმ თავით შენშევიკებს შქანდათ ბუდე მათ სწორი გზა მიატოვეს, ამჯობინეს უფრო მრუდე, — ავ სა უხს მე, შეიძლება, ბევრჯელ კიდევ დაუბრუნდე, — ჩვენ მათ მეღგრათ შეუტეთ, შევანგრიელ მათი ზლოდე.

ცხრაას ხუთში დამარცხებთარაიან მეტათ დამფრთხალი. ლოხუნგება ვადისროლეს კადეტური, მეტათ მკრთალი. მათი მოთხოვნებილები ძველი იყენენ, არ ახალი, აღმაფრენისა მაგიერ იწყეს მიწაზე ფართხალი!

*) ამ ისტორიის წერა ოფიციუ მეტების ციხეში, მენშვეციურ ხელისუფლების დროს—1920 წელში. მისი დამთავრება არ დამცალდა საქართველოს გასაბჭოების გომო. მოგესწარი მხოლოდ შესავლის დაწერა.

რადრო დაეკარგეთ მენშევიკის მონოლოგი



რადრო დაეკარგეთ! ჩვენი იყო ეს მთა და ბარი. და ისე ვგრძნობდით მაშინვე თავებს, როგორც ვრადფები. ჩვენს რესპუბლიკას აყრუებდა ჩვენი უიქონა, გვექონდა დუქნები, სასირაჯო და სხვაფერები.

სოცშევიბრება ჩვენისთანა ვინ ბოიკონა? ან და ტენნიკა უკეთესი ვის აქვს ნახული— ჩვენ რომ შევქმენით: „სამოვრიდან“ კაკალ ხახაში გადადიოდა მორაკრაკა შავი კახური.

დამკვრელობა ხომ... დამკვრელობა მუშტი და კრიგი, სილოს გაწნევა, თუ მუშტის კერა— ქართული ბოქსის, ყველამ ვიცოდით, როცა ხომ მოგვივიდოდა— დავამგვანებდით მეტოქის ცხვირს ნიგლისურ მოფისეს.

ახალი ისტორია

ნამესტნიკმა მიიწვია, — ორივე ნოვ მას ვახლა. ცხრაას ხუთის შეცდომები ნოვმ კვალად განახლა. „სოციალიზმს ღალატობენ!“ — მაშინვე ვთქვი, განა ახლა! იმ შეცდომის შედეგია მოწამე ვართ რისიცი ახლა.

ნამესტნიკმა იმათ უთხრა.— ეს უტყუარი ფაქტია: — „გამიგია, რომ თქვენ აქ გყავთ უძლიერესი პარტია. მაშ ჩაიბარეთ სასახლე, დაბილოცნია ტახტია,— მე რუსეთს უნდა წავიდე, შეკონილი მაქვს ბარგია.“

იმის მაგიერ, რომ მისთვის ცახეში ეკრათ თაღი, საჩქარო მატარებელს მიართვეს მას „სასტავია“.

ხელით გავვისხლტა უვნებლათ გაუმატარი სეაია. თუ ყველი შელას არ მისცა,— ყვავი მაშ რაღა ყვავია?

ნოვმ ითვისა იმ დღიდან სიბრძნის ახალი დარგია. იმისი დიპლომატობა მის შემდეგ სულ ორპავია: რაც შინაურებს მოსწონან, — ის გარეთ აღარ არგია, — საერთოდ — ანაც და ესეც— ორივე კი უფარგია!

„სახარე ხარსა ვარგისსა სასკორეს უტყუაო.“ — ამ სიბრძნეს ჩემი ბაბუა დიდი ხნის წინ იტყოდაო.

მენშევიკებმა შესტობეს,— იმ თავით ეტყობოდაო. „აზრმა“ და შემდეგ „ეროობამ“ უკვე დაიწყეს ბოდვაო: — „დემოკრატიზმი — სახელით, საქმით კი მეტი ბარგია; სოციალიზმი... ოდესმე, — დღეს აბა ეს რას გვარგია? რასაც მეტს დაიგვიანებს, — ჩვენთვის მით უფრო კარგია; სჩქარე ასეთ საქმეში მავნეა, არ სავარგია“...

აგრე წარყენა წმინდა საქმის, რა თქმა უნდა, არ დაუშვით. მათი „აზრის“ წინააღმდეგ ჩვენი „ზრძოლა“ გამოუშვით, — რასაც შეხვდენ ერთი ამბით, ყაყაით და ვაი-უშით. ატეხილი დავა ესე, გათავდა ჩვენი გათიშვიო

საქმეს მედგრად შეუდგეთ, ენეოგია გავააეთ. საკუთარი უჯრედები ჩვენ ყოველგან დავაარსეთ. ძველი წესების ნაშთები სულ შევმუსრეთ არ ვაარსეთ. ვილაღეთ და ვინეტარეთ, ვინარეთ და ვიკისკასეთ! დაუყოვნებლივ შევქმენით საბჭო მუშათა და ჯართა,— თავისუფლების დამცველ და დაუძინებელ დარაჯთა. მტერს თუ მზე უბნელდებოდა, მოყვარეს მთვარეც უძეკდა. — „რა გვეშველებმა!“ იძახდენ ცხოვრება უყვარს ვის მუქთა. ასე ტკბილ ნეტარებაში გავკეპარა გაზაფხული. არც კი გვიგრძნია, თუ როგორ კარზე მოგვადგა ზაფხული. ეს განა გასაკვირია, — ვიყავით რა ხნის მარხული, — რომ გავვისხნილდა — გაემართეთიჩვენ საზეიმო ფერხული!

ზაფხული დადგა — ჩამოკვა, იცი ბუნება თბილისის, მან მოგვიტანა დღეები აწი ცნობილი ივლი ის. ვინც მაშინ ჩვენ შეგვარცხვენდა— აწ შერცხვენილი ივლის ის, მონა იქნება უღირსი საფრანგეთის, თუ ინგლისის!..

ან-და შეტევას გაშლილ ფრონტით კლასიურ მტერთან ბოლშევიკები მოაწყობენ ჩვენსავით განა? ცეცხლით, მანვილით გადავთვლეო ხეობა ქსანის, სამხრეთ - ოსეთის, აფხაზეთის მინდორი, ყანა.

დღეს კი ჩირადაც არვინ გვაგლეხს. უკვე ააგეს მათ სამიჩკველი სოციალისტურ ეკონომიკის, მშვიდობით ძველო საქართველოვ, სახნისის, კევრის, ურმის, ჩარჩების, ჩალანდრების. კასრის და ტიკის! მ—ზა.

ვეიგრანსტი მინისტრი


ნან. ლონის



მინისტრი იყო პორტუგალი, და ხალხის სისხლი აქცია. ეხლა პარიზში ბრძანდებმა, დაეცა მისი აქცია. ნატრობმა: „ეს ჩემი ბუშტები ნეტავ მომბეზად აქცია და იმის თავზე აფეთქდის ვინც აქეთ გამომაქცია.“

კუზიანს

სამარე გაასწორებს



1921 წელი

24 თებერვალი

დღეს კიდევ დავაპარცნით ბოლშევიკები სამუდამოდ განადგურებული მტერი მხოლოდ უკან დახევამი ეძებს ხსნას. მაგრამ ჩვენი არწივები დაანებებენ უკან დახევას? ...რა ბედნიერი გარნობით გიძინებ! საქართველო ისევ ჩვენია.

25 თებერვალი

...ბოლშევიკები ტფილისში! ეს ჩვენი მთავრობის მინერია: ხვალ ამათი ჭაქანება აღარ იქნება აქ.

...ბოლშევიკები უკვე მიდიან: დღეს ჩემი თვალთა ვნახე, იმათი ჯარები რა სიჩქარით მიემართებოდენ ორთაქალისკენ. გზა მშვიდობისა!...

17 ივლისი

...გოლგაზე სიმშოლისაგან ხალხი ერთმანეთსა სჯამს. ბოლშევიკებს დიდი დოე აღარ უწერიათ. ცოტა კიდევ და...

5 ნოემბერი

...განათლებული ეგროპა არასგზით არ დაგვანებებს ბოლშევიკებს. საფრანგეთისა და ინგლისის გებრული ფლოტი დღეს არა, ხვალ უიჭველად მოადგება შვიი ზღვის ნაპირებს...

1922 წელი

...გენუის კონფერენციაზე ბოლშევიკებიც მიიწვიეს. ჰერი ბიჭო! ასე მიიტყუებენ და მეორე ერთი მაგრა ამოსცხებენ ცხვირში საქართველოს გულსათვის.

ჩვენი მთავრობაც ზომ იქ არის! ახლა ქააა ლიკოსის მემორანდუმი!

1923 წელი

9 იანვარი

...ტყობა ბოლშევიკების საქმე ძალიან ცუდათ არის და ზემოაქალის ელსადგურის დაწყებით უნდათ აუბან ხალხს თვალი. მაგრამ ხალხი ყველაფერს ასედაც და ბოლშევიკების დღეებიც დათვლილია...

28 აპრილი

ბოლშევიკები თავიანთ წასვლის წინ სულგამწარებით სცილობენ ყოველნაირად აამღერიონ წყალი. ესლაც მოაწყეს თავიანთკენ გადაბირებულ მენშევიკების კონფერენცია.

ეს უბედურება მოლაღატენი ხვალ რომ ბოლშევიკები წავლენ, რადა პასუხს აძლევენ პარტიასა და მთელ ქართველ ხალხს?...

1924 წელი

25 აპრილი

...ორი დღის ბატონობა კიდევ დარჩენიათ ბოლშევიკებს; შერე კი... გაუთმარჯოს ისევ თავისუფალ საქართველოს!...

1926 წელი

5 იანვარი

...ბოლშევიკები ყოველნაირად ზალავენ, რომ ბაღდუდინის მთავრობამ მოსთხოვა საქართველოს დაცლა. მაგრამ როდემდის უნდა დამალონ ამ საცოდაებმა! დღეს ხვალ ზომ მიანც უნდა დასტოვონ საქართველო...

1928 წელი

19 დეკემბერი

...ხუთწლედის გეგმას იმუშავებენ! რა სასაცილოა. გინმე ბრიყვმა უნდა იფიქროს — ხუთი წელი კიდევ უწერიათ პრესობა! ის კი არ იციან, რომ ამათი ვარსკვლავი დღე-დღეზე ჩაჭრება. ოო, თვალთმაქცებო!...

1929 წელი

18 ივნისი

...პურის ბართიც შემოიღეს, ეს უკვე ნიშნავს უკანასკნელი სულის დაფას...

1930 წელი

14 სექტემბერი

...უკვე დაეიხებით ლაპარაკობენ ხუთწლე დის 4 წელში შესრულებაზე. ეს აშკარად იმას მოწმობს, რომ მებუთე წელს ვეღარ

მიადწევინ და ეჩქარებათ. ის კი არ იციან, რომ არც მეოთხე წელი გაუთენდებთ, ისე ამოიკეთენ ფესს საქართველოდან...

6 ნოემბერი

...სესხიც გამოუშვით კიდევ — „ხუთწლელი 4 წელიწადი“. ეს უკვე სრულ გაკატრებას მოასწავებს...

1931 წელი

25 თებერვალი

...ბოლშევიკები 10 წლის თავსა დღესასწაულობენ. ისეთი ზვიმერ გააქვთ, თითქოს სამუდამოდ იყვენ დამტკიცებული საქართველოში. დაე უკანასკნელად კიდევ ილდესასწაულონ.

7 ნოემბერი

...ჩემი შვილი პარტიაში შევიდა: ეს ოჯახური სულ არა ფიქრობს თავის მომავალზე. მე კი რამდენიმე დღითი მიანც ბოლშევიკები შინ გამიჩინდა...

11 დეკემბერი

...ერთი ხუთწლელი არ გათავებულა და უკვე მეორე ხუთწლედის გეგმას იმუშავებენ ასეთი სულმოკლეობა ცხადია დღემოკლეობას ნიშნავს.

მაშ სულ ცოტა კიდევ და...

1932 წელი

25 იანვარი


...ბოლშევიკები ემზადებიან მეთერთმეტე წლისთავისათვის. საწყობს მიანც სჯერათ, რომ მეთერთმეტე წლის დასრულებასაც შეესწრებიან...

18 თებერვალი

...მაშ ანთება მიქვს! ღმერთო, ერთ კვირეს კიდევ მიცოცხლავ, რომ მოვესწრო ბოლშევიკების წასვლას და მერე...

ამ ფურცლებს ცხადია ბერი აკლია, მაგრამ იმათგან მიღებულ შთაბეჭდილებას მე მგონი არაფერი აკლია. ამიტომ ეუთმობ რედაქციას გამოსაქვეყნებლად ნაღირი

დარჩენილი ეგზეგალიარი




ნ.ა. კომპოზილი

— ვეი სასახლე... თორემ ჩემისთანა კეთილშობილი ხალხი იცხოვრებს შიგ, მუშებს ჩაახახლებენ!

4

დაქმნილი ებუღი მუზეუმი

ნახ. ნადარეიშვილის



ძველი ტფილისი, უნი კირიმი,
ყოველთვი სუნზე მწარედ ვსტირი მე:
გაგიფართოვეს საწყაოს ქუჩები,
მეორე ხუთწლედს ვერ გადურჩები.

ადარ გამუფენებს ეკლესიები,
როგორც კინძობებს ვარდი-იები.
ზარების ნაცვლად ქარხნის საყვირი
თავზე დაგვივირის და ამას ვსტირი.

ჩამავალ მზეზე არ ბრწყინავს ვჯარი,
მცხეთას დაგუბა ზაპსება მტკვარი
ძველი ტფილისი ჩვენ სუნზე ვსტირით,
ჩამოშვებული დავდივართ ცხვირით.

გადახრილ-გადმოხრილამ ეთანხმება



ჭრელაძე და მჭრელაძე კამათობენ. ჭრელაძე ძველი მენშევიკია ე. ი. უპარტიო. მჭრელაძე დამკრეფელი მუშაა—პარტიული. გვერდით უხრით გადახრილ-გადმოხრილამ, თავის დროზე უპარტიოდ ნამყოფი, შემდეგ გამემარცხნებელი, კიდევ შემდეგ, რაღაც ნაარად პარტიისში მოხვედრილი და მთლად შემდეგ კი ისევ გამოირიყსული დაშვებულ მებრჯუნენ და „მოემარცხნენ“ იაღლიშების გამო.

კამათის თემა 25 თებერვალია. მოკამათები საკითხს აყენებენ „თქვენი“-ს და „ჩვენი“-ს თვალსაზრისით.

— კი, მარა, ყურები რომ გამოგვიჭედდეთ მიღწევები და მიღწევები, რა მივციოთ გასაბჭოებით საქართველოს?—დაოხს ჭრელაძე.

— რა მივეციოთ და ის, რაც თქვენ წაართვით, რის წართმევეც გინდოდათ შემდეგში, თავსუფლება მივეციოთ, მიწა მივეციოთ გლეხებს, სოციალისტური ანდუსტრია მივეციოთ ქვეყანას, მთლიანი კოლექტივიზაცია, სარწყავი არხები, ძვირფას ტენაჟურ მცენარეთა კულტურები, ფაბრიკა-ქარხნები, გახები, ტრექტორები, განათლება ელექტრონი მივეციოთ, მარტო ზაჰეს-რიონის რაღდას. — თქვენს დროს რომ ბუჭტადა ქალაქი—ახლა გაიჩრადებულია ქვეყანა.

— კეძემ, მართალს ამბობს ამხანაგი მჭრელაძე, —ეთანხმება გადახრილ-გადმოხრილამ, — მე რომ ვაკვირდები, მართლად იდი მიღწევები მოპებულა, კეძე, კეძე!

მეცა ბიძია, მეცა, ნუ გეაკვირებთ მაგ თქვენი ზაჰეს-რიონისგან, ჩვენ რომ გავკეოხარა ზ. ავექალა, დავეგუბებია მტკვარი და არაგვი, აგვეშენებია ელსადგური, ქე გვექნებოდა ზაჰესი ჩვენც, რომ გავგებრიტა არქიელის გორა, ამოგვეყვანა ჯებირები, დავეკვდა ტურბინები და ყველა ჯანდაბები, რასაც თქვენ შობათ, რიონისის აშენებას რა თავი უტკიოდა ჩვენთვის? — მოუჭრა სიტყვა ჭრელაძემ და გადახრილ-გადმოხრილამაც თანახმა აღმოჩნდა.

— არა, ავიც მართალია, მე რომ ვაკვირდები, მენშევიკებსაც ეჭებოდათ რომ ავეშენებიათ, კეძე, კეძე!

— ან კილომ, მიწა მივეციოთ რომ ჩივი, ჩვენც რომ ჩამოგებოდათ თავადებოხა და მემამულეებოხა მაწები და გავგებრიტებია გლეხებოხა, ქე გვექნებოდა მაგიც, მარა რას ვჩივ ბატონო, მემამულეებს, კულაკებს, თავადებს? ივინი ხალხი არაა თუ?

გადახრილ-გადმოხრილამ თავს აჭყვეს: კეძე, კეძე, ხალხა აბა, მაკილო ხომ არაა? კეძე, ცუდი ჭენით, ბიძი ამ 25 თებერვლის მოხდენათ...

— კოლექტივიზაცია გავაკეთეთო, რომ ჩივი, წაგვერთმია, ბატონო, გლეხებოხა ყველაფერი, შეგვეყარა მერე ერთად და გვეთქვა: მოხანით, მეყვანეთ და მეიტანეთო, ქე გვექნებოდა ბატონო კოლექტივიზაცია და ეგ იყო!

— ხუთწოდეს ვასრულებთო, რომ ტრაბახობთ, შე დალოცვილო, თერთმეტი წელიწადია აქანთ ხართ და ერთი ხუთწოდელი რომ შესრულით ისიც ოთხ წელიწადში, აი გასაკვირა. ქე შევასრულებდით, ბატონო, რაცხას ჩვენც რომ ვეცლიათ პატარა.

— კეძე, კეძე, მართალია ჭრელაძე, რომ ეცლიათ, რაცხას ქე შესრულებდენ მაგენიც—ეთანხმება გადახრილ-გადმოხრილამ.

— „რაცხა“ თქვენ უკვე შესრულებთ, მოქალაქე ჭრელაძე, მაგრამ ვანსხვავება სწორედ იმაშია, რომ თქვენ იმას ვერ შეასრულებდით, რის შესრულებაც არ გასურდათ და რაც ღღეს შესრულებულია, ეს ჩვენ ავაშენეთ სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი, ჩვენ მოვახდინეთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ჩვენ ვსვობთ კულაკობას, როგორც კლასს, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ჩვენ მივალწიეთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს მშრომელთა მსახურად, ეს 25 თებერვლის შედეგია, ეს ჩვენი ბრძოლის შედეგია—მაგდახე ხელის დარტყმით ვანაგრძობს მჭრელაძე.

ჭრელაძეს სიტყვები შემოეღია. გადახრილ-გადმოხრილამ კი ეთანხმება მჭრელაძეს:

— მე როგორც ვაკვირდები სწორედ ავია მართალი... კეძე, კეძე, ავია ნამდვილი წორი. **თაისი.**

მ რ ლ რ ი ნ უ ი

— არა, რეზო, მე შენ ზემო აღარ ვაგვიგებ!

— როგორ შეიძლება! მტერს ხომ პასუხი უნდა გასცეთ! აბა ტყუილად გეძახიან მამულიშვილებს?

— მტრის პასუხის გასაცემად ჯარი და გვარდია არა კმარა?—ამბობს ლია.

— ჯარი სანდრო არ არის. უმარაგელისობა ბოლშევიკებს უტერს მზარს, ავანაზებულების მზარზე გადადის, ჩვენს მტრებს, წითელ არმიელებს, ამხანაგებს ეძახის. გლეხებს და მუშებს ჯერ კიდევ არ აქვთ იმის შეგნება, რომ დაიკვან სამშობლო. იმათ ჩვენ ვერ ვენდობით.—თავისას გაიძახოდა ქმარი.

— მაგრამ კმარა, აწ არ უნდა დამტოვო მარტო. აწ სხვები წავიდენ ომში. შენ ხომ არ წახვილ, რეზო.

— არა აღარ წავალ. ყველაფერი გორჩა. ავანაზებულების სოფლები სულ მოაღწევიოთ, ქვა-ქვანჯერ არ დატოვებთ, არ დაიხინდეთ არც ბავშვები, არც ქალები, არც მოსუცებულები, ყველაფერი ცეცხლის ალს მიეციოთ. ძლიერად მოსილ ომის გადახდის მოსაგონრად შენც აი ეს მოგიტანე! და ქმარსა ცოლს ბაღდადის მშენებელი ფარჩის თავსახურავი შემოახვია კისტრზე.



— რეზო, ეს რა არის წითელი დროშები. ეს ძაბრის ქუდები!—გაკვირებოდა ეკითხება ქმარს დახვარასთან მდგარი ლია.

— ოო, წყევლებო, ეს სულ იმათი ბრალაია; თუ არა იმათი ღალატი ჩვენ ვამარჯვებულნი ვიყავით.—ამბობს რეზო.

— ვისი ღალატი, რას ამბობ?

— ვისი და ჯარისკაცების.

— რა გვემელება რეზო! ხომ დავიდუპით, ხომ ყველაფერი ჩამოგვართმევენ: მამულს, სახლკარს, ნამხითვესაც წაიღებენ ვითომ?

— არაფერია. ბოლშევიკებს ორ კვირაში გადაეცინან, ჩვენ ისევ ძველებურად ვიცხოვრებთ.

— ინი განდენის? — ინგლისელები. გეგეკორი ბათომში ჩამოსულა ინგლისის ჯარით. ისეთი ზარბაზნები აქვთ, თურქე ინგლისელებს, რომ ბათომში გაისროლნ ბავში უნებებულს აღარაფერს დასტოვებს.

ამ ნუგეშმა ყველას სიცოცხლის ნიშანწყალი დაუბრუნა. ყველამ იმედინანად დაუწყო მოლოდინი სჯალნიდელ დღეს.

ამ დროს ტფილისში ახალი ცხოვრება, საბჭოთა ცხოვრება იწყებოდა.

გავიდა თიბები. ინგლისელები არ სჩანდნენ. არც გეგეკორი. პირიქით გეგეკორს მუშების და გლეხების მიერ გაძევებული მისი ამხანაგები იქით ეხლნენ. რეზოს მამულს გლეხები დაეპატრონენ, მის სახლებში გლეხებმა საავადმყოფო ვახსნეს.

— რეზო, ეღლებებით!—უღებებოდა ლია ქმარს.

— არ ღაიჯერო, სულ ცოტა მოიმინება და ბოლშევიკების კვალსაც ვერ ნახავ. უორდნანისოტის მე-2 ინტერნაციონალს ბოლშევიკების განდენში დახმარება აღუთქვამს, თქვენი კახური ღვინის გემო არ დაგიწყებიათ. ერთა ღიგა სულ ჩვენს მზარზეა, კიათურის მარგანეც და ტყბულის ქვანახრის ბოლშევიკებს ვერ დაეანებებო.

— ოლონდ მოვიდენ და კიათურა და ტყა ბული კი არა, მთელი საქართველო თან წაიიონ.

— მთელი საქართველო თან წაიიონ. — რეზო, ნამდვილად ვიღებებით, არაფერი შეგვიჩა—ამბობს ლია.


— არასოდეს, ტყუილია ყველაფერი, ბოლშევიკებს არ შეუძლიათ ქვეყნის მართვა-გამგეობა. ისინი მალე დაიუღებებინ, პოლიტიკა ხუმრობა არ არის; შენ ამას ვერ მისვლები, ამისათვის უნდა იცოდე ფილოლოგია, სოციოლოგია პოლიტიკური ეკონომია. ბოლშევიკები აუცილებლად წააგებენ რევოლუციას. ასე ამბობს კალუკი.

ფართოდ გაიშალა სამარცხველი მშენებლობა. ამუშავდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები. მიწყობა ელექტროსადგურები, სკოლები, საავადმყოფოები. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია უჩვეულო ტემპებით მიდის წინ. საბჭოთა კავშირი თავს აღწევს კმატარტარ ქვეყნებზე დამოკიდებულება.

— სულ ებოიო. ბოლშევიკები ვერ გაიმარჯვებენ სოციალიზმს ვერ ააშენებენ!— ამბობს ჩვენი ტროცკი. არსად არ სწერია, რომ ბოლშევიკებსა გამარჯვებონ, ამაზე არც კალუკის, არც მაკდოლანდს, არც ვანდერენდელს, არც უორდნანას არსად ერთი სტრიქონი არ დაუწერიათ!—ასე ანუგეშებს თავს და ანუგეშებს ცოლს რეზო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 11 წლის თავს.

რა ჭქანს რეზომ? თუ სხვას არ სჯერა მისი წინაწარმეტყველების, თვითონ ხომ სჯერა! ისეც საქმარისია განწირულისთვის

„ნიანთან“ არსებულ წრების მცხადინეობა შესდგება შემდეგ დღეებში: ლინწარის—28, თებერვალს, ახ. მხატვარების—29 თებერვალს, საღამოს 6 საათზე.



„იტირე გულო, იტირე სულო“

ის არ ჰგავდა ბევრს; ბევრს მისი როგები დან. ის ყველაზე უფრო მხნედ გამოიყურებოდა იმ კამპანიიდან, რომელიც ყოველ 25 თებერვალს იკრიბებოდა სტელის ვასაქარ ეტბრად არტურნიერის ქ. № 7 ოთახში № 10. სახეზე იყვნენ, რომ ყოფილი სს მხედრო პირი იყო.

ჩემი ოთახის კარის ქუჭრუტანიდან შე გარკვევით ვათვალიერებდი მათ სილუეტებს. რასაც ირეგული, ცნობის მოყვარულობა გამოიყენებდა და არა სხვა რამ... მართალია, ბევრი ფრაზა, რომელიც მკაფიოდ შემოვარდებოდა ჩემი კარის ქუჭრუტანიდან ჩემი ყურის ბარბანთან, ზოგჯერ საბრძოლო ვაწყობილებას შეეხებოდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ მალე შემოუტახებდა ჩემს თავს: „გაუშვი, ილაფობ, თავი შეიყოლიონ, გული მოიფხანონ... ისინი ხომ „აჟ გადასულან, სიბერე სჭირთ, ჭირთავან უფრო ძნელია“—მეთქი.

განსაკუთრებით საბრალე შთაბეჭდილებას სტოვებდა ნაწევრად გაკრეპილი მღვდელი. რომლის ტანსაცმელი არც ანაფორას ჰგავდა და არც ახალუნს, ისე რა—საშუალო იყო მათ შორის. მას ლაპარაკი არ უყვარდა, უფრო მეტად სჯამდა, თუ სადმე რამე გამოიჩნებოდა ახალი სუფრაზე. ზოგჯერ თუ იტყვოდა: „პაი, დედასა“—ო, ან „პაი გიდა“—ს ეს იყო და ეს მისი პროტესტი არსებული პირობების, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამაგიეროდ უფრო აქტიური იყო, განსაკუთრებით ნუნუსა ვადაცერის შემდეგ, სახლის ყოფილი მებატონე არიან. მის ლანძღვრებებს საბჭოთა ხელისუფლების მისამართით ყოველთვის ათავებდა ამ სიტყვებით: „არინა ისე არ მოკვდება, თან რომ არ გაიყოლიოს რამდენიმე“—ო.

— ეს არაფერია, მეგობრებო, მომავალი ჩვენია. დღეს მაგათ იდღესწაულონ... ეს უკანასკნელია... მომავალ ოცდახუთ თებერვალს პოლკოვნიკის პავონებით მოვალ თქვენთან და მოვილოცავთ გამარჯვებას. —დაძახებდა მოხუცი, მაგრამ საქმოდ მხნე, მეომარის გამოშტყველების მქონე, იოსებ ზახარია.

უკანასკნელ წლებში მათ კამპანიას (იქონი მხედველობაში საოცდნითი თებერვლით კამპანია) შემოუერთდა ერთი ჩაბრგავლებულ-ჩაფხკნილი ნიკოშა, რომელსაც ყველაფერი იმას უმტიციებდა, რომ კულა კა უნდა ყოფილიყო. ის დორბლორეული ბზუნებდა მუდამ.

უსათუოდ შეხანიშნავი კრებული იყო. განსაკუთრებით საყვირელი იყო, როგორ მონახავდნ ერთმანეთს ყოველ წელს სწორედ 25 თებერვალს... და რატომ მაინც და მაინც ერთ ადგილას იყრიდნ თავს? ამას მე მით ვხსნიდი, რომ სახლის ყოფილი მებატონე ცოტას წაისპეტულია ნტებდა და წაიკომინატორებდა. ხეშის მოშახლება მას უფრო შეეძლო და ამიტომ

მაც არ იფიწყებდნ მას ძველი მეგობრები...

ყველაფრის გამისწორებელი და ყველას გამაზნებელი ძველი ნაპოლკოვნიკარის, იოსებ ზახარია მოამანილი: ჭრთველო ხელი ხმალს იკაარს! შარშანდღამდე სულ ამ სიმღერის ნიშნის ქვეშ ტარდებოდა სუფრა. ეს სემღერა თითქოს რაღაც მიმნად აქვთ გამოცხადებულიო, —იფიქრებდით. განსაკუთრებით გუგუნებდა კულაკის მინა.

შარშან, საბჭოთა საგართველოს ითი წლის თავზე სულ სხვანაირი ელფერი პქონდა მათ საპროტესტო სუფრის აღარ ისმოდა ნაპოლკოვნიკარის რიხინი სიტყვები.

— იცოცხლეთ, —იტყოდა აქანალბებული ხმით და რამდენიმე კიბის გადაკვრის შემდეგ დაიწყებდა:

— იტირე გულო, იტირე სულო, ვარაღდექ—და მას აპყვებოდნ დანარჩენები და საზარელი კაკაფონია გამოდიოდა. შაროლაც ტირილს უფრო ჰგავდა მათი ღრბილი, ვინც სიმღერას.

წელსაც, საბჭოთა ხელისუფლების მეთერთმეტე წლის თავზე (მღვდლის გამოკლებით, რომელმაც „შარშან დომიკილრა სასუფეველი) თქვენი მონა-შორჩილი ისმენდა ქუჭრუტანიდან მათ „სიმღერას“.

— იტირე გულო, იტირე სულო, ვარაღდექ.

სეგვირ-ბენ-ჰეიხ

საშპარკი ემიგრანტთან (ყავანახაში)

— როგორი შეხედულების ხაროთქვენ საქართველოში მუშებისა და მშრომელი გლეხონს დღესასწაულის შესახებ?

— შეხედულება და ტანადობა საერთოდ ყოველთვის კარგი მქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის ბუნებათ ვეღარ ვსუნთქავ და საზრავიც გამოგვიღია, შეხედულებაც წამიხდა და ტანადობაც აღარ მივარგა... რაც შეეხება დღესასწაულს, ქეიფი და დროს ტარება მიყვარდა და მიყარს, მაგრამ არავინ გვაბტეუობს და ვწოხვარ, რომ უჩემოდ ტარდება.

— როგორ უყურებთ თქვენ წითელი არმიის, წითელი საზღვაო და საპაერო ფლოტის ზეიმის ჩატარებას?


— მართალი ვითხრა არც კი მსურს, რომ ჟჰ. რო, რადგან წითელი ფერი ჩემზე ცუდად მოქმედობს, განსაკუთრებით წითელი ჯარი, რომელიც სულის სიმშვიდეს მართმევს და მისი სიძლიერე მოსვენებას მიკარგავს....

— რა აზრისა ხართ თქვენ სოციალისტურ მშენებლობის დარგში 11 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოს მიღწევების შესახებ?

— აზრი მე მგონი კარგი მაქვს, თუკი ნაცნობი და უცნობი ყველა მეუბნება, რომ აზროვნება სუატი მაქვს და გონებაც არ გივარგაო... მშენებლობის შესახებ კი რა მოგახსენო, მე ინჟინერი არა ვარ და ისე კი

კომუნისტური დემონსტრაცია პარიზში

ნან. დონის



პარტ. მინორანტი: — მგონი აქედანაც მალე მოგვიხდება გაქცევა!

აშენებული და დამშენებული სხვისი ნაშრომი ყველაფერი მომწონს, რადგან საკუთარი არაფერი გამაჩნია...

— როგორ მოგწონს თქვენ საქართველოში ძვირფასი კულტურის გავრცელება და მეორე ხუთწლედის გეგმა?

— ჩემი მოწონებული გეგმა აჯანყება იყო, მაგრამ 1924 წელში ჩაფლანდა...

— რას ფიქრობთ თქვენ იმ შემთხვევაში, როდესაც ეგროპაშიაც იფე-

თქვენს პროლეტარული რევოლიუციის?

— ამის შესახებ ზ ჯერჯერობით არ მიფიქრია და ვინც ფიქრობს, ისიც ზედმეტად მიმანია, რადგან რევოლიუციის შესახებ ფიქრი ჩემს ავტობლობაზე ცუდად მოქმედობს. ამიტომ გზთოვთ საუბარს ნუღარ გავარძელებთ...

წიკუნტალა



1. შორი გზიდან სატრფოს ველი



2. სხვა მოდის და ის კი-არა.



3. ვაი თუ გზაში დაიქანცა,



4. სუსტია და ვერ იარა.

კატაკი განათლების ფრონტიდან

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ფრონტებზე მიღწეულ გრანდიოზულ გამარჯვებებთან ერთად, საქართველოს გასაბჭოების 11 წლის თავზე განათლების ფრონტიც ითაოს თავის მიღწევებს. ზოგიერთი ვერც კი შესძლებს დასთვლოს ამ ხნის განმავლობაში რამდენმა უცოდინარმა შეისწავლა წერა-კითხვა და რემდენმა ოპატრონობაზე შეეცაო ავი სკოლის კედლებში..

მართალი ვითხრათ სხვანაირად მოეწყო საქმე... რამდენი რამ არ გაიხსნა: ბაგები, ბალები, სკოლები, ინსტიტუტები და ვინ მოსთვლავს რამდენი. ესლა რაღაც დაუსწრებელი შემოიღეს (სახლში სწავლობს კაცი რადიოს საშუალებით.

ამ წელიწადში უცოდინარობას სამა რადისო ლოდი უნდა დავადეთ. ყველა უნდა ეზიაროს ცოდნას და ახალ ცხოვრებას. წინედ ასე არ იყო: ადამიანს უნებთარდებოდა ფულის მოგება

პას ალიო, ანდა მუცელი ბევრი ქანისაგან. მომავალი ადამიანი არ უნდა იყოს ასეთი. ის უნდა იყოს მცოდნე და ძლიერი. ძველის მნგრეველი და ახლის მშენებელი. გადავამზადოთ უნდა მასწავლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გახდება იგი ჩვენი კულტურის ხელმძღვანელი.

სახელმძღვანელოები გვჭირია სხვანაირი, არა ეკლექტიზმით შეთითხნილი, არამედ მარქსისტულ ყაიდაზე შედგენილი!

მალაგო

ღღმის პერიოზი



საბჭოთაო გამომცემლობა

ნ.ხ. ნაძარეზგისიძის



„საგვიმოს სსლომა საგარსველოსი საგოსთა ხელისუფლავის დამყარების თვითმხედრ ლის თაობა“



ივრით

რას არ ედებოდა, ანუ მიედ-მოედებოდა იპოლიტე მოდებამდე.

ჟერ კიდევ ცნობილი მისი მამიდან დაიწყო ეს ამბავი.

მოდებამდემა სალიაც გაიგონეს რომ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში მოდებამდე ახსნა არისო და შეიქნა ერთი წრიალი: საქმე იპოლიტეს მანამ, ზაქარიამ ითავა. სოფელში თითქმის ახლაც კი ახსოვთ ლექსებით დარჩენილი მითქმა-მოთქმა: **სად იყო, სად არა, ეს ჩვენი ზაქარა „აზნაფირად“ გამხარა!**

ცნობასუთის შემდეგ რეაქციამ ცოტა შექაჩ-შემოქაჩა იპოლიტე, მაგრამ თავი მაინც გვარიანად დააღწია. რეაქციის პირველივე დღეებში აიღო და გადასახლდა თავის სოფლიდან შორეულ ზღვის პირზე. ეს ადგილი ჯერ კიდევ თავისი ახალგაზრდაობაში ზეპირად დროს ჰქონდა ნაუფუნა-ნუქი იპოლიტეს. აქედან ერთი ხელით მათთან იყო ახლოს, მეორით — თავის სამშობლო კუთხესთან, ხოლო სოფლისა და ქალაქის „სმიჩას“ იპოლიტე ბევრი სხვაობაზე ხიჩით ემ-

სახურებოდა. ტვირთის ზიდა, საეკულაცია და, ლმერთო შეგვტოდეთ, ზოგ სხვა რამესაც ამბობდნენ იპოლიტეს.

ერთი სიტყვით, პოლიტიკასა და მიდებ მოდებამ იპოლიტე, როგორც ერთი მხრით, სახელი, ხოლო მეორე მხრით, გვარი უმტკიცებდა, ყოველგვარს ერთნაირს სიერთაყოფით ჰქედებდა ხელს.

აკი მენშევიკების ხანაში იპოლიტე მთელ ამ ზღვის პირის მეორე სტრიტში შეიქნა. რომელი გენერალ-გუბერნატორი გენებავთ, რომ იპოლიტესას არ ექვეფნოს.

სარფაც ჰქონდა იპოლიტეს აქედან.

იპოლიტე მოდებამდე სულ სდგას თავის მოწოდებაზე!

იღეროდნენ მისი ნაცნობნი თუ უცნობნი.

მაგრამ „ღრონი მეფობენ და არა მეფენიო“...

შენშეიკურმა დრომ ზღვიდან თავი უკანასკნელად დაგვიკრა და იპოლიტე „მოგვიტენა კონდანში“.

ერთი ბედი მაინც შეიქნა: ზღვის პირს შერჩა ძველი ქეჩა. გადმოიტანს იმს ზღვის ზედ კაცალ კიდეში დაივებს და მისცქერდება ზღვას: მოდიან თუ არა.

„უ სალამო ხანს შენიშნა ზღვაზე გეკი, მთელი ღამე აციებს და ატყელებს: „აღბათ, სადაცაა ნაპირზე გადმოვლენ, ზათომს აიღებენ და მეც ფინჯლად უნდა ვიყო“.

